სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 22 0000878295

05/08/2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს N01-05-04/99 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად 4 წლის ვადით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/99 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2022 წლის 05 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში - თბილისი, კოსტავას, 75, მე-8 სასწავლო კორპუსი, დიზაინის საერთაშორისო სკოლა, მე-2 სართული, ოთახი №3.
3. კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 14 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2022 წლის 17 სექტემბრისა, უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო კორპუსში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

4. კონკურსთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2022 წლის 19 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით.
5. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 26 სექტემბერს.
6. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2022 წლის 27 სექტემბრისა.
7. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით